სემინარი 6 — „სტიუარდესა და სტიუარდი“

ევროკავშირის სამართალი · კვირა 6 · ქეისი: Defrenne II (1976)

გიორგი კობერიძე · ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სემინარი 6 — „სტიუარდესა და სტიუარდი“

> **ფორმატი:** Case Method · 50 წთ · ორი გუნდი (დეფრენი / Sabena + ირლანდია და ბრიტანეთი) → პლენარული დისკუსია → „სასამართლო“ **მოსამზადებლად:** დარიგება (კვირა 6), ნაწილები II და III · ცხრილები 1, 4, 5 · ქეისის ფაქტები ქვემოთ

რატომ ეს ქეისი

1957 წლის ხელშეკრულების 119-ე მუხლი ამბობდა: „**წევრი სახელმწიფოები** უზრუნველყოფენ“, რომ ქალი და კაცი თანაბარ სამუშაოზე თანაბარ ანაზღაურებას იღებდნენ. მუხლი სახელმწიფოებს მიემართება. მოსარჩელე კი **კერძო** ავიაკომპანიას უჩივის. შეუძლია მას ხელშეკრულების მუხლზე დაყრდნობა — და თუ კი, **რა ფასად** სხვა ათასობით დამსაქმებლისთვის?

ეს **პირველადი სამართლის** ქეისია: როდის ხდება ხელშეკრულების მუხლი პირის უფლების **უშუალო** წყარო (გაბრიჩიძე, პარ. 271–272), და შეუძლია თუ არა სასამართლოს საკუთარი გადაწყვეტილების მოქმედება **დროში შეზღუდოს**.

ნაწილი A — ფაქტები

Gabrielle Defrenne v Société anonyme belge de navigation aérienne Sabena, Case 43/75, 8 April 1976

1. ქალბატონი **დეფრენი** — Sabena-ს **სტიუარდესა**. **1963-02-15-დან 1966-02-01-მდე** იგი იმავე სამუშაოს ასრულებდა, რასაც კაცი **სტიუარდები** (*cabin steward*), მაგრამ ნაკლებ ხელფასს იღებდა. დისკრიმინაციას მხარეები **არ** დავობენ. *(პარ. 2–3, PDF გვ. 16)*
2. მან კომპენსაცია მოითხოვა ბრიუსელის შრომის სასამართლოში (*Cour du travail*), რომელმაც **1975-04-23**-ს EEC **177**-ით (დღეს TFEU 267) ორი კითხვა დასვა. *(პარ. 1, PDF გვ. 16)*
3. **EEC 119** (სასამართლოს გადმოცემით): სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ და შეინარჩუნონ „the application of the principle that men and women should receive equal pay for equal work“ — **გარდამავალი პერიოდის პირველი ეტაპის ბოლომდე** (მეორე დაიწყო **1962-01-01**). *(პარ. 16, 47; სარეზ. 2)*
4. **1961-12-30** — ვადის ამოწურვის წინა დღეს — წევრმა სახელმწიფოებმა **რეზოლუციით** დისკრიმინაციის აღმოფხვრა **1964-12-31**-მდე „გაწერეს“. ბევრმა მაინც არ შეასრულა; კომისიამ 1973-ში **169-ის** (დღეს 258) სარჩელით დაიმუქრა, მაგრამ არ შეიტანა. *(პარ. 47–51, 73)*
5. **1975** — საბჭომ მიიღო **დირექტივა 75/117** თანაბარი ანაზღაურების შესახებ, ერთწლიანი იმპლემენტაციის ვადით. *(პარ. 53–55)*
6. სასამართლოში **ირლანდიისა** და **ბრიტანეთის** მთავრობები აფრთხილებენ: თუ 119-ს უშუალო მოქმედება ექნება, წარსულზე სარჩელები ბევრ საწარმოს **გაკოტრებამდე** მიიყვანს. *(პარ. 69–70, PDF გვ. 25)*

ორი კითხვა, რომელიც სასამართლოს წინაშე იდგა:

1. 119 „**უშუალოდ**“ შედის ეროვნულ სამართალში და აძლევს თუ არა მუშაკს უფლებას, ეროვნულ სასამართლოში **დამოუკიდებლად** იჩივლოს — და **რომელი თარიღიდან**? *(პარ. 4–5)*
2. გახდა თუ არა 119 გამოყენებადი **გაერთიანების** აქტების (მაგ., დირექტივის) წყალობით — თუ ამაზე **მხოლოდ** ეროვნული კანონმდებელია კომპეტენტური? *(პარ. 41)*

ნაწილი B — ორი გუნდი

	✈️ **დეფრენი**	🏢 **Sabena + ირლანდია, ბრიტანეთი**
ადრესატი	მუხლი სახელმწიფოებს მიემართება, მაგრამ ეს **არ** უშლის ხელს, რომ პირს უფლება მისცეს (*Van Gend*)	ტექსტი: „**Each Member State** shall ensure“ — ეს დავალებაა **კანონმდებლისთვის**, არა კერძო დამსაქმებლისთვის
„პრინციპი“	„პრინციპი“ ხელშეკრულებაში **ფუნდამენტურს** ნიშნავს	„principle“ = ზოგადი მიზანი, არა კონკრეტული წესი
დირექტივა 75/117	დირექტივა 119-ს **ვერ** ცვლის — ის მხოლოდ აზუსტებს	თუ საბჭომ დირექტივა მიიღო, ე.ი. 119 **თავისთავად** არ მუშაობდა
რეზოლუცია 1961	ხელშეკრულება რეზოლუციით **ვერ** შეიცვლება	სახელმწიფოებმა ერთობლივად **გადაწიეს** ვადა
შედეგები	სამართალი დაცული უნდა იყოს, ფასის მიუხედავად	წარსულზე სარჩელები = **გაკოტრება**; არავინ ელოდა

ნაწილი C — მოსამზადებელი კითხვები (ყველა სტუდენტისთვის)

1. *Van Gend* (კვირა 1) ეხებოდა სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელს. რით განსხვავდება *Defrenne* — ვინ არის მოპასუხე?
2. რატომ არის 119 (დღეს TFEU 157) **ეკონომიკური** და **სოციალური** ნორმა ერთდროულად? *(პარ. 8–12)*
3. შეუძლია თუ არა წევრი სახელმწიფოების **რეზოლუციას** ხელშეკრულების ვადის შეცვლა? (TEU 48; დარიგება, ცხრილი 1)
4. შეუძლია თუ არა **დირექტივას** ხელშეკრულების მუხლის ეფექტის შეზღუდვა ან გადავადება? რატომ? (იერარქია — ცხრილი 1)
5. თქვენ რომ მოსამართლე იყოთ: წარსულზე სარჩელები დასაშვებია? რა ღირებულებები ეჯახება ერთმანეთს?